№ 01/07 01 ივლისი 2026 წ

მინდობილობა

შპს „საქინვესტი“-ს *(ს/კ 205175004)* დირექტორი ალექსანდრე ნარსია *(პ/ნ 19001033601) (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმნდობი“)*

გიორგი ძიძიკაშვილს *(პ/ნ 12001092336) (შემდგომში „მინდობილი“)* ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან იმოქმედოს მიმნდობის სახელით და განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1. შეუზღუდავად და სრულად წარმოადგინოს მიმნდობის ინტერესები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებულ ყველა სამსახურში, სააგენტოში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (მათ შორის: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, სსიპ ქონების მართვის სააგენტო, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და სხვა), აწარმოოს მოლაპარაკებები და წერილობითი მიმოწერა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, დაიცვას მიმნდობის ინტერესები, წარადგინოს, მოითხოვოს და მიიღოს მათგან ნებისმირი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, მოითხოვოს მათ კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება ან/და ნებართვის (მათ შორის მშენებლობის/რეკონსტრუქციის ნებართვის) გაცემა, მიიღოს მათგან ნებისმიერი სერვისი და მომსახურება, წარადგინოს ნებისმიერი სახის განცხადება ან საჩივარი, მოითხოვოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2. შეუზღუდავად და სრულად განახორციელოს კანონმდებლობით მიმნდობისთვის მინიჭებული უფლებები ამ მინდობილობის პირველ პუნქტში აღნიშნული ორგანოების წინაშე, მოიძიოს, შეადგინოს და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის, მიმნდობის კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის ან სხვა ნებისმიერი სახის ნებართვის მოპოვების ან უკვე გაცემულ ნებართვაში ცვლილებების შეტანის მიზნით.

3. მინდობილობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით წარადგინოს ან/და ელექტრონულად ატვირთოს შესაბამის საიტზე ნებისმიერი სახის დოკუმენტი და უზრუნველყოს მათზე ხელმოწერა (მათ შორის ელექტრონული ფორმით), გადაიხადოს შესაბამისი მომსახურებისთვის დადგენილი საფასური/მოსაკრებელი.

არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა სრულყოფილად განხორციელებისთვის.

მინდობილობა ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

შპს „საქინვესტი“
დირექტორი
ალექსანდრე ნარსია

Aleksandre Narsia 19001033601
Digitally signed by Aleksandre Narsia
Date: 2026.07.01 19:20:10